

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	<a href="#">ეკოლოგია</a>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<b>ეკოლოგიის ბაკალავრი</b>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: სასწავლო კურსები - ძირითადი სპეციალობა major – 168 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსები – 12 კრედიტი, დამატებითი minor სპეციალობა/ან არჩევითი კურსები 60 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სტუდენტებს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ცოცხალი ორგანიზმების, მათი პოპულაციების, თანასაზოგადოებების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებების, ანთროპოგენური ფაქტორების გარემოზე, ეკოსისტემებზე ზემოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ. პროგრამის მიზანია ასევე, სტუდენტს ჩამოუყალიბოს წარმოდგენა ადამიანზე, როგორც ბუნების ნაწილზე, რომ კაცობრიობას არ შეუძლია გადარჩენა ბიოსფეროს მდგრადი განვითარების გარეშე.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>კურსდამთავრებული მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლებს დასაქმებას სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, ბოტანიკურ ბაღებში, აკვარიუმებში, დელფინარიუმში, გარემოს დაცვის რესპუბლიკურ და რაიონულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ნაკრძალებში, აღკვეთილებში, ეროვნულ პარკებში, დაცულ ტერიტორიებში, წარმოება-დაწესებულებების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურებში, ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურებში, პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით, საბაჟო-საკარანტინო სამსახურებში.</p> <p>შეიძენს ფართო ცოდნას ეკოლოგიის ძირითად საკითხებში გარემოს აბიოტური და ბიოტური ფაქტორების ცოცხალ სამყაროზე ზემოქმედების შესახებ; ეკოსისტემების ძირითადი ტიპების, მათში მიმდინარე პროცესების შესახებ; ბიოლოგიური თანასაზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებების შესახებ;</p> <p>გააცნობიერებს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზმის ადაპტაციასთან განსაზღვრულ ეკოლოგიურ პირობებთან ისტორიული მიზეზების შესაბამისად;</p> <p>შეძლებს თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში. ჩამოუყალიბდება რაციონალური ბუნებათსარგებლობის, გარემოს დაცვის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ექსპერტიზის, პროგნოზირების, სამართლისა და მენეჯმენტის განხორციელების უნარი; კონკრეტული ეკოლოგიური პროექტებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარი ხელმძღვანელის მითითებით; შეძლებს სტუდენტური პროექტებისა და რეფერატების მომზადებას, დემონსტრირებას, პრეზენტაციას;</p>
შეფასების წესი	<b>საბოლოო შეფასება - 100 ქულა.</b> ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში დოქტორანტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის

